



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
კოლეჯი „მოღუსი“**



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 156

რუსთავი

„2020-10-20“

**„სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 5
აპრილის #82 ბრძანებში ცვლილების და დამატებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე, 56-ე და 63-ე მუხლების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოღუსის“ წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად და ხარისხს მართვის მენეჯერის 2020 წლის 20 ოქტომბრის N1011694 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შევიდეს ცვლილება სასწავლო პროცესის რეგულირების წესის 34-ე მუხლში და დაემატოს შემდეგი შინაარსის 34.4 პუნქტი: „34.4. შეფასების მტკიცებულებების შენახვა/აღრიცხვა ხდება ელექტონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-Flow) საშუალებით, სადაც აღირიცხება მონაცემები თითოეული ჯგუფის თითოეული პროფესიული სტუდენტის მოსწრების შესახებ. ელექტონულად ინახება და აღირიცხება სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ყველა დადებითი და უარყოფითი შეფასება.“
2. შევიდეს ცვლილება სასწავლო პროცესის რეგულირების წესის 21-ე მუხლში და დაემატოს შემდეგი შინაარსის 21.20. პუნქტი: „21.20. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი სასწავლო პროცესთან და სტუდენტურ აქტივობებთან დაკავშირებით მოსაზრებები/წინადადებები განათავსოს კოლეჯის თეორიულ შენობაში განთავსებულ წინადადებების ყუთში;“
3. შევიდეს ცვლილება სასწავლო პროცესის რეგულირების წესში და დაემატოს შემდეგი შინაარსის 21¹ მუხლი:

„21¹. წინადადებების ყუთი

21¹.1 სასწავლო პროცესთან და სტუდენტურ აქტივობებთან დაკავშირებით წინადადებების ყუთში განთავსებული მოსაზრებების/წინადადებების დახარისხებაზე და

გადამისამართებაზე პასუხისმგებელი პირია სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი;

21¹.2. წინანდადებების ყუთი განთავსებული უნდა იყოს კოლეჯის თეორიული შენობის პირველ სართულზე, ჰოლში, რომელიც სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ უნდა გაიხსნას თვეში ერთჯერ;”

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

5. დაევალოს IT სპეციალისტს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ინტერნეტ გვერდზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ზოსტანქალაქის ქ. #6)

კარლო კერვალიშვილი

დირექტორი

